ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(1) **1. რომელი დებულება არის მცდარი?**

ა) სალიტერატურო ენა მუდმივად მდიდრდება დიალექტებიდან შემოსული გრამატიკული ფორმებით.
ბ) სალიტერატურო ენა საერთო-სახალხო ენაა და ქვეყნის მთელი მოსახლეობის გამაერთიანებელია.
გ) სალიტერატურო ენაზე იქმნება ოფიციალური, პუბლიცისტური, სამეცნიერო და მხატვრული ტექსტები.
დ) სალიტერატურო ენის განვითარებას სხვა ენებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

(1) **2. საიდან მომდინარეობს გამოთქმა** – *აკრძალული ხილი?*

ა) ახალი აღთქმიდან.
ბ) ბერძნული მითოლოგიიდან.
გ) ქართული მითოლოგიიდან.
დ) ძველი აღთქმიდან.

(1) **3. მოყვანილი გამოთქმებიდან რომელშია სტილისტიკური ხარვეზი?**

ა) ანგარიში გაუწია.
ბ) მეგზურობა გაუწია.
გ) მხარდაჭერა გაუწია.
დ) წინააღმდეგობა გაუწია.

(1) **4. რომელი წინადადება <u>არ არის</u> ქართულისათვის ბუნებრივი?**

ა) ეს ამბავი არცერთ ჩვენს მეგობარს გაჰკვირვებია.
ბ) ოთახიდან ბავშვების გასვლა არავის შეუმჩნევია.
გ) პროფესიის შეცვლაზე არასოდეს მიფიქრია.
დ) შიშისაგან ხმის ამოღება ვერავინ შეძლო.

(1) **5. რა არის სტილისტიკური ხარვეზის მიზეზი ამ წინადადებაში:** *ამ ფილმის მასიურ სცენებში ძირითადად არაპროფესიონალები მონაწილეობდნენ.*

ა) ატროფია.
ბ) კალკი.
გ) პარონიმია.
დ) ტავტოლოგია.

(1) **6. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

ა) სტუმარ-მასპინძლობის წესი ქართველი ხალხის უმნიშვნელოვანესი ტრადიციაა.
ბ) ფერეიდნელ ქართველებს ძველი ზნე-ჩვეულებები დღემდე აქვთ შემონახული.
გ) ჩამოსული სტუმრების დასახვედრად დიდიან-პატარიანად ყველა შეიკრიბა.
დ) ძველად მამაკაცები გლოვის ნიშნად ჩოხაზე ქამარ-ხანჯალს არ იკეთებდნენ.

(1) **7. რა ტიპის შეცდომაა ამ წინადადებაში:** *ქალბატონი ელენე მსახიობთა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.*

ა) მორფოლოგიური.
ბ) ორთოგრაფიული.
გ) პუნქტუაციური.
დ) სინტაქსური.

(1) **8. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

ა) თითოეულ მათგანს ძალიან უხდებოდა ჩვენი ნაციონალური სამოსი.
ბ) ქართველ მხატვართაგან არაერთი იღებდა განათლებას საზღვარგარეთ.
გ) ყოველ თქვენთაგანს ემახსოვრება სკოლაში მისვლის პირველი დღე.
დ) წარჩინებულ მოსწავლეთაგან საუკეთესოს სწავლას დაუფინანსებენ.

(1) **9. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

ა) ახალგაზრდებმა, რომლებმაც სკოლა ერთად დაამთავრეს, უნივერსიტეტშიც ერთად გააგრძელეს სწავლა.
ბ) სტუდენტებმა, რომლებმაც სხვა ფაკულტეტზე გადაწყვიტეს გადასვლა, დამატებით გამოცდებს აბარებენ.
გ) წყალსაცავს, რომლის სიგრძე თითქმის ოცდაათი კილომეტრია, ჩვიდმეტი წელი აშენებდნენ.
დ) ჯიხვი, რომელსაც კარგად აქვს განვითარებული ყნოსვა და სმენა, ძალიან ფრთხილი ცხოველია.

(1) **10. რომელია შედეგობითი დამოკიდებული წინადადება?**

ა) ექსკურსია უნდა გადავდოთ, რადგან ამინდი საგრძნობლად უარესდება.
ბ) მშვენიერი ღონისძიება გამოგვივიდა, ასე რომ, ყველა კმაყოფილი დარჩა.
გ) ფანჯრები ფართოდ გამოაღეს, რათა მათი სიმღერის ხმა ყველას გაეგო.
დ) ჩამოვალ და აგიხსნით, რის გამო ვერ მოვახერხე პრემიერაზე დასწრება.

(1) **11. რომელ წინადადებაში *<u>არ არის</u>* სწორად დასმული სასვენი ნიშნები?**

ა) მეტროპოლიტენის მშენებლობა თბილისში, XX საუკუნის II ნახევარში, დაიწყო.
ბ) ძველად თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე, საუკეთესო იარაღს ამზადებდნენ.
გ) XX საუკუნეში, ოციან წლებში, მადათოვის კუნძული სანაპიროს შეუერთეს.
დ) 2011 წელს სვანეთში, მესტიის ცენტრში, თამარ მეფის ბრინჯაოს ძეგლი დაიდგა.

(12) **12. წაიკითხეთ ნაწყვეტი ზურაბ ჭუმბურიძის წერილიდან „სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის“:**

საზოგადოდ, ვიდრე გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი მტკიცე აქვს, ენის თვითმყოფობას საფრთხე არ მოელის და სიტყვის სესხებაც არ შეიძლება ჩაითვალოს მისთვის საზიანოდ. პირიქით, ამგვარ პირობებში უცხოურიდან შემოსული სიტყვები ესისხლხორცებიან ენის ლექსიკურ-გრამატიკულ სისტემას და ამდიდრებენ მას. ბევრი სიტყვა ისე იცვლის სახეს დროთა განმავლობაში, რომ მისი სადაურობის გარკვევა საგანგებო ენათმეცნიერულ ძიებას მოითხოვს. ასეა შეთვისებული და სახეცვლილი მრავალი სიტყვა ქართულში.

როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა, „ვერც ერთი ენის ძალას ვერ დაურღვევია ჩვენი ენის კანონები, ვერ გადურევია, ვერ გადურჯულებია, დაუთმია ჩვენი ენისთვის და ჩვენსკენ თვითონ გადმორჯულებულა... იმ ძალაუნებურ შეტაკებაში მაინც ძლევამოსილი დარჩენილა დედა-ენა“.

(2) **I.** ჩამოაყალიბეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(3) **II.** იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია ეს საკითხი დღეს.

(2) **III.** ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი ზურაბ ჭუმბურიძის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე – უარსაყოფად.

(3) **IV.** იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ: ეს დავალება სწორდება ენობრივი თვალსაზრისითაც. ამ კომპონენტის მაქსიმალური შეფასებაა 2 ქულა.

(12) **13. ყურადღებით გაეცანით მოსწავლის ნამუშევარს და შეფასების სქემას.**

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

რა შეიძლება იყოს სხვადასხვა თაობისა და განსხვავებული ინტერესების ადამიანებს შორის კავშირის საფუძველი.

მოსწავლის ნამუშევარი:

ნებისმიერი ადამიანი ინდივიდუალურია და განსხვავდება სხვებისაგან. ყველას აქვს თავისი ინტერესები და შეხედულებები. ეს განსხვავებულობა განსაკუთრებით შესამჩნევია თაობათა შორის. დრო იცვლება, შესაბამისად იცვლება ღირებულებები და შეხედულებები, რასაც ხშირად მოყვება კომფლიქტი და უთანხმოება, თუმცა ადამიანებს შორის მუდმივად რჩება სიყვარული და პატივისცემა. ეს არის ის, რაც დაგვეხმარება ნებისმიერი უთანხმოების დაძლევის განხორციელებაში.

ეს საკითხი დღემდე არის და ყოველთვის იქნება აქტუალური. ხშირად შეიძლება ვერ ვუგებდეთ მშობლებს და ისინი ვერ გვიგებდენ ჩვენ, არ მოსწონდეთ ჩვენი ჩაცმულობა, გემოვნება, შეხედულებები. ჩვენც ვერ ვუგებთ მათ, გვაღიზიანებს მათი მითითებები და შენიშვნები, გვწყინს, რომ არ ესმით ჩვენი, არ შემოდიან ჩვენ მდგომარეობაში. ეს ყველაფერი კი შეიძლება უთანხმოებაში გადაიზარდოს, თუმცა შეუძლებელია, ადამიანმა იცხოვროს მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილით და არ ითვალისწინებდეს სხვის ინტერესებსა და შეხედულებებს.

ეს საკითხი კარგად არის წარმოჩენილი ბ. ხარანაულის ლექსში „კარტოფილის ამოღება“. ლექსის ლირიკული გმირი აგვიღწერს თავის ბავშვობას, როგორ რუტინულად იღებდა დედასთან ერთად კარტოფილს. 15 წლის მოზარდს, რომელსაც ფიქრები გართობისა და ამხანაგებთან ყოფნისაკენ გაურბის, იცის შრომის ფასი, შრომით მიღებული ბედნიერება, „შედეგი, ძიება და სიხარული“.

კარტოფილის ამოღება სიმბოლოა დედა-შვილური ურთიერთობისა. ლექსის ლირიკული გმირი გადმოგვცემს როგორ აახლოებდა დედასთან ეს პროცესი. წლების შემდეგაც, როცა დედა იბარებს, უჩნდება პროტესტის გრძნობა, მაგრამ საბოლოოთ მისი ამბოხი თიანეთისაკენ გამგზავრებით მთავრდება. რთულია პირადი გეგმებისა და პრიორიტეტების დათმობა, მაგრამ როცა საქმე მშობელს ეხება, რთულია მისი სურვილის წინააღმდეგ წასვლაც. სიყვარული და პატივისცემა არ მოგვცემს ამის საშუალებას. შესაბამისად, მე მჯერა, რომ სიყვარული, პატივისცემა და ურთიერთგაგება არის თაობათა შორის კავშირის ურყევი საფუძველი.

შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთე-ბა (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალი-თებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერის სტილი გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტი-კური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ ნაწერის სტილი გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	2 1 0

შეაფასეთ მოსწავლის ნამუშევარი შემოთავაზებული სქემის მიხედვით და დაურთეთ კომენტარები, კერძოდ:

(2) **I.** შეაფასეთ მოსწავლის ნამუშევარი I კრიტერიუმის მიხედვით, თქვენი შეფასება დაასაბუთეთ და მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან;

(2) **II.** შეაფასეთ II კრიტერიუმის მიხედვით, თქვენი შეფასება დაასაბუთეთ და მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან;

(3) **III.** შეაფასეთ III კრიტერიუმის მიხედვით, ამოიწერეთ თხზულებაში დაშვებული ყველა შეცდომა (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები);

(3) **IV.** თქვენ მიერ ამოწერილ თითოეულ შეცდომას მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურსა თუ სინტაქსურს;

(2) **V.** ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

II. ქართული ლიტერატურა

(1) **14. „შუშანიკის წამებაში“ აფოც ეპისკოპოსთან, ჯოჯიკსა და მის ცოლთან შეხვედრის დროს რა აღმოჩნდა განსაკუთრებით მიუღებელი დედოფლისათვის?**

ა) ეპისკოპოსმა სასახლეში დაბრუნება რომ ურჩია.
ბ) ვარსქენმა მისი მონახულება რომ არ მოინდომა.
გ) შვილების გამაზდეანების ამბავი რომ შეატყობინეს.
დ) ჯოჯიკის ცოლი შინ დაბრუნებას რომ აიძულებდა.

(1) **15. „აბო თბილელის წამების“ მიხედვით, რას უკავშირდება საპყრობილიდან ნერსე ერისთავის განთავისუფლება?**

ა) აბდილა ამირა მუმნის პოლიტიკას.
ბ) მაჰდი ამირა მუმნის გამეფებას.
გ) ქართლის სამეფო კარის გაძლიერებას.
დ) ქართლში ხელისუფლების ცვლილებას.

(1) **16. გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წერს:** *„უდაბნოთა მამანი არიან ხორციელად განწესებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საჭურველნი ყოველთა მორწმუნეთა მეფეთანი მწყობრთა შინა წყობისათა“.*

როგორ განუმარტავთ მოსწავლეებს ამ წინადადების აზრს?

ა) მეუდაბნოე ბერები ბრძოლის წინ მეომრებისა და მეფეებისათვის აღავლენენ ლოცვას.
ბ) მეუდაბნოე ბერები დაღუპული მეომრების სულის საოხად მუდმივად ლოცულობენ.
გ) მეუდაბნოე ბერები ბრძოლის დროს მეომრებსა და მეფეებს სულიერად აძლიერებენ.
დ) მეუდაბნოე ბერები ბრძოლის ველზე მორწმუნე მეფეებთან ერთად ღვრიან სისხლს.

(1) **17. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისას მოსწავლემ იკითხა:** პირველი შეხვედრის დროს რატომ გადაწყვიტა ასმათმა ავთანდილის დახმარება?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ავთანდილის ბრძნულმა საუბარმა მოხიბლა.
ბ) ავთანდილის თავდაჭერამ გული მოულბო.
გ) მიხვდა, რომ ავთანდილი არ დაეხსნებოდა.
დ) შეიტყო, რომ ავთანდილი შეყვარებული იყო.

(1) **18. ვინ ჩაუყარა საფუძველი „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ კვლევას?**

ა) ანტონ კათალიკოსმა.
ბ) არჩილ მეფემ.
გ) ვახტანგ მეექვსემ.
დ) თეიმურაზ პირველმა.

(1) **19. დავით გურამიშვილის „დავითიანის“ რომელი ტაეპი გამოგადგებათ იმ აზრის გადმოსაცემად, რომ ღვთით ნაბოძები სიკეთე ბოროტებამ გაანადგურა?**

ა) „ერთმან მტერმან ათასსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრი“.

ბ) „ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო“.

გ) „იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი“.

დ) „შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანერთის ძვირისა“.

(1) **20. რა მნიშვნელობით იყენებს *„ტაძარს“* ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსში: „ვპოვე ტაძარი...“?**

ა) ეკლესიის მნიშვნელობით.
ბ) სასახლის მნიშვნელობით.
გ) სიმბოლური მნიშვნელობით.
დ) ჰიპერბოლიზებული მნიშვნელობით.

(1) **21. ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ შესწავლისას მოსწავლე დაინტერესდა, თუ რატომ დაარქვა ავტორმა ერთ-ერთ პერსონაჟს ლამაზისეული.**

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) მის მიმართ სარკასტული დამოკიდებულების შესარბილებლად.
ბ) მის სახელსა და გარეგნობას შორის კონტრასტის წარმოსაჩენად.
გ) პერსონაჟის გონებრივი და ფიზიკური ნაკლის შესანიღბავად.
დ) პერსონაჟის სოციალური მდგომარეობის დასაკნინებლად.

(1) **22. რომელი ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ ჰქონდათ პოლემიკა აკაკი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძეს?**

ა) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“.
ბ) „დავითიანის“.
გ) „ვეფხისტყაოსნის“.
დ) „ქილილა და დამანასი“.

(1) **23. ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ შესწავლისას მოსწავლემ იკითხა:** რატომ აღასრულებს სანათა ხატში იმ წესს, რომლის შესრულების უფლება მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ამ ვითარებაში მისთვის ხატის მსახურება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადათის დაცვა.
ბ) იგი ფიქრობს, რომ წესის შესრულება ქალსაც უნდა შეეძლოს და ადათი უნდა შეიცვალოს.
გ) სანათა დარწმუნებულია, რომ ხატის მსახურების გამო ღვთის სასჯელი შეუმსუბუქდება.
დ) წესის შესრულებით საკუთარ ქმარ-შვილსაც შეეწევა და სულიერ სიმშვიდესაც მოიპოვებს.

(1) **24. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ელგუჯა“ სვიმონ ჩოფიკაშვილმა მზაღოს მოტაცების გამო ელგუჯას ხალხი დაადევნა და მოთავედ მათია დანიშნა.**

რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება სვიმონმა?

ა) სვიმონს ელგუჯას დასჯა არ სურდა და ფიქრობდა, რომ მათია ელგუჯას გაქცევაში დაეხმარებოდა.

ბ) სვიმონს ელგუჯას დასჯა ევალებოდა და მეთაურად ვაჟკაცობით განთქმული მათია ამიტომ დანიშნა.

გ) სვიმონს ელგუჯას დასჯა სურდა და ფიქრობდა, რომ მათია ეჭვიანობის გამო ელგუჯას არ დაინდობდა.

დ) სვიმონს მზაღოს დაბრუნება სურდა და იმედი ჰქონდა, რომ მათია ქალის განთავისუფლებას შეძლებდა.

(1) **25. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ ვკითხულობთ:** „კიდობანში ძველი ხატი აქვს დამალული. იმ ხატს კუთხეში დაასვენებს, სანთელს აუნთებს და პირქვე დაემხობა. მეტანიით, სასოებით და ცრემლით ლოცულობს თეიმურაზ ხევისთავი...“

რას ევედრება თეიმურაზი ღმერთს?

ა) რომ მის ცხოვრებაში ნათელი დღეები ისევ დადგეს.
ბ) რომ საქართველომ ძველი დიდება აღიდგინოს.
გ) რომ ქვეყანაში რევოლუციამ საბოლოოდ გაიმარჯვოს.
დ) რომ ძველი ცხოვრება აღარასოდეს დაბრუნდეს.

(1) **26. ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი“ ჰექსლეის აზრით, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ევროპა და ამერიკა?**

ა) ევროპა მხოლოდ არსებობის შენარჩუნებისათვის იბრძვის, ამერიკა – განვითარებისათვის.
ბ) ევროპა მხოლოდ განვითარებისათვის იბრძვის, ამერიკა – არსებობის შენარჩუნებისათვის.
გ) ევროპისათვის მთავარი აზროვნების განვითარებაა, ამერიკისათვის – სიმდიდრის მოპოვება.
დ) ევროპისათვის მთავარი სიმდიდრის მოპოვებაა, ამერიკისათვის – აზროვნების განვითარება.

(1) **27. ლეო ქიაჩელის მოთხრობაში „ჰაკი აძბა“ ვკითხულობთ:** „დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში. საჭირო არ არის ზედმეტი სიტყვა. მზად ვარ გამოვცხადდე, – წარმოთქვა უჯუშმა და აქამდე გაფითრებულ სახეზე სისხლი წამოაწვა“.

როგორ წარმოჩნდება უჯუშ ემხა ამ მონაკვეთის მიხედვით?

ა) როგორც მჭევრმეტყველი და დარბაისელი.
ბ) როგორც პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე.
გ) როგორც პატივმოყვარე და ქედმაღალი.
დ) როგორც მოსალოდნელი საფრთხის გამო ნირწამხდარი.

(1) **28. გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში „ალავერდობა“ როგორ აფასებს მთავარი გმირი საკუთარ საქციელს?**

ა) აცნობიერებს, რომ მისი მოქმედება გაუაზრებელი იყო.
ბ) იაზრებს, რომ საზოგადოებრივ მორალს დაუპირისპირდა.
გ) მიიჩნევს, რომ რისკზე წასვლა ყოველთვის გამართლებულია.
დ) ხვდება, რომ პროტესტმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „მოლოდინივით მძიმეა მიწა“:

გზაგასაყართან სხედან. შავი ძაძები აცვიათ. მუხლებზე იდაყვდაყრდნობილნი ჩიქილის ტოტებით იმშრალებენ თვალებს. ყასიდად სახლიდან წინდები წამოუღიათ და ვითომ ჰყიდიან. სხედან და თან გზას გაჰყურებენ. გზა შორია და მოლოდინით სავსე. ათასნაირ ბორბლებზე შემდგარი მანქანები დაჰქრიან აღმა-დაღმა. ადიან და ჩადიან ადამიანები, მაგათთვის კი არავინ მოდის. გზის ქვემოთ მაგათ დარდებივით მღვრიე არაგვი მიერეკება ღორღიან ჭალას. ისე მოშრიალებს, თითქოს ეგეც ელოდეს ვინმეს, თითქოს წყალსაც ვიღაცის მოუსვლელობა ჰკლავდეს.

ისხდნენ. აქამდის ორნი იყვნენ. ამ ბოლო დროს ერთი დედაბერი სადღაც გაჰქრა. მარტო ერთი შავოსანიღა შემორჩა გზაგასაყარს. ქვაზე ზის. მაგისთვის არც დარი არსებობს და არც ავდარი. წვიმის წვეთებს დედაბრის შავი მანდილი ღამის ნაგლეჯი ჰგონიათ და უკვირთ, იცინიან ზედ. თავზე რომ ახვევია, ისეთივე შავი ჩიქილა მიწაზე გადაუშლია და ზედ ახალმოქსოვილ წინდებთან ერთად, ძველი, რეცხვაში უკვე გაცვეთილი ხელთათმანები უწყვია. გაივლის ხოლმე მგზავრი გაიყოლებს წინდებს, მერე წასასვლელად გამზადებული იმ ჭრელ ხელთათმანებზეც შეევაჭრება. არა ვყიდიო, – ჩაიჩურჩულებს დედაბერი, მგზავრს თვალს აარიდებს, ამოიოხრებს და არაგვისკენ სახემოქცეული თავისთვის იტყვის: – მოგიკვდეს დედა, შვილო! ხელთათმანებს აიღებს და უბეში ჩაიწყობს. მგზავრს უკვირს და უხერხულებისგან აღარ იცის, სად დამალოს გაწვდილი ფული. მერე მგზავრი წავა. მარტოდ დარჩენილ დედაბერს ელდა შეიპყრობს. ეშინია – ვაი თუ გამოიაროს და ვერ მიცნოსო. ისევ ამოიღებს ხელთათმანებს უბიდან და ჩიქილაზე დააწყობს.

იმ დღესაც იქ იჯდა. ჭალაზე რატომღაც წმინდა მოდიოდა არაგვი. წყლის დასალევად ჩავიდა ქვემოთ. უკანმობრუნებულს ცარიელი ჩიქილა დაუხვდა. აღარც წინდები, აღარც ის ხელთათმანები. გზაზე ყაჩაღივით მიჰქროდა უზარმაზარ ბორბლებზე შემდგარი სატვირთო მანქანა და მიწისაგან ავარდნილ მტვერს მიიყოლებდა. ჯოხზე დაყრდნობილი ქალი მანამდის გაჰყურებდა,

მანამ მოსახვევს არ მოეფარა. მერე ჩიქილის ტოტებით აცრემლებული თვალები მოიწმინდა და ჩაიჩურჩულა.

– მოგეცადნა და მიწას ხომ არ გამოვეკერებოდი, გეთხოვა და შენი ფულით კი არ გავმდიდრდებოდი, შე კაცობადამწვარო, შენა.

სანთლისფერი ღაწვები მოლოდინით სავსე. გზა ვერ იტევს უკაცობას. გზა სავსე არის მოლოდინით და ხალხით. გზას პირველს სტკივა ქვეყნის სატკივარი. გზა პირველი მოელის შინმოუსვლელთ. გზას პირველს მოაქვს სიხარული.

მიწაზე ჯოხდაყრდნობილი დგას. გზაზე კი ათასობით ამვლელი და ჩამვლელი დადის. ვინ იცის, რამდენი ამისთანა გზა არის დედამიწაზე.

ხანდახან დაღლილ მუხლებს მოიკეცავს ხოლმე ცივ მიწაზე და მაშინ გრძნობს, რომ მოლოდინივით მძიმეა მიწა...

იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: ნაშრომი, რომელიც 100 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!